წერე! ვფიცავ იმას, ვის ხელშიც ჩემი სულია, აქედან არაფერი გამოდის, გარდა ჭეშმარიტებისა

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან(ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: «მე ვწერდი ყველაფერს, რასაც ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ვისმენდი, რათა დამემახსოვრებინა. ყურეიშელებმა გამაჩერეს და მითხრეს: "ნუთუ ყველაფერს წერ, რასაც მოციქულისგან ისმენ? მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ადამიანია, რომელიც ლაპარაკობს როგორც რისხვის, ისე კმაყოფილების დროს". ამის შემდეგ მე შევწყვიტე წერა. ეს ამბავი მოვახსენე მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), და მან თითით მიუთითა თავის პირზე და თქვა: «წერე! ვფიცავ იმას, ვის ხელშიც ჩემი სულია, აქედან არაფერი გამოდის, გარდა ჭეშმარიტებისა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აბუ დაუდმა]

აბდულლაჰ ბნ 'ამრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ამბობს: "მე ვწერდი ყველაფერს, რასაც ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ვისმენდი, რათა დამემახსოვრებინა წერით. ყურეიშის მამაკაცებმა შემაჩერეს და მითხრეს: 'მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ადამიანია, რომელიც ლაპარაკობს როგორც კმაყოფილების, ისე რისხვის დროს და შესაძლოა, შეცდომაც დაუშვას.' ამის გამო შევწყვიტე წერა." შემდეგ ეს ამბავი მოვახსენე მოციქულ მუჰამედს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), და მან თითით მიუთითა თავის პირზე და თქვა: წერე! ვფიცავ იმას, ვის ხელშიც ჩემი სულია, აქედან მხოლოდ სიმართლე გამოდის ყველა შემთხვევაში, იქნება ეს კმაყოფილების თუ რისხვის დროს. უზენაესმა ალლაჰმა თქვა მის მოციქულზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): ﴿და არ მეტყველებს იგი თავისი ნებით* რამეთუ ეს მხოლოდ შთაგონებაა რაც ზეშთაეგონა﴾ [ან-ნაჯმ: 3-4].

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65077

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee